

www.liberty.ge

თავისუფლება

NEWS

უსაფრთხო სკოლა

სკოლა მნიშვნელოვან როლს თამაშობს მონარდის ჩამოყალიბებაში. თუმცა, როცა სკოლებში ძალადობის მოქარების შემთხვევაში ხელს მხოლოდ სასწავლო დაწესებულებებისკენ იმევენ, არ უნდა დაგვავინყდეს, რომ თავისი წილი პასუხისმგებლობისა ოჯახსა და საზოგადოებაზეც მოდის.

მხოლოდ სკოლის, ოჯახისა და საზოგადოების ერთობლივი ძალისხმევითაა შესაძლებელი ძალადობის პრევენცია და მონარდის განვითარებისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა.

ალბერტ ბანდურას "სოციალურ-კოგნიტიური დასწავლის თეორიის" თანახმად, ბავშვი ქცევას მოდელირებს - სხვათა ქცევის მიზანმიმართულ მნიშვნელობას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ არა მხოლოდ პოზიტიური, არამედ სოციალურად არასასურველი ქცევების დასწავლა ხდება. ძალადობის ხშირი დემონსტრირება ბავშვს უვითარებს აზრს, რომ ეს ქცევა სოციალურად მისაღებელია. ამდენად, სკოლაში ძალადობის ფაქტების აღმოფხვრა მონარდთა ფიზიკურ უსაფრთხოებასთან ერთად მათ ნორმალურ ფსიქიკურ განვითარებას ემსახურება.

საქართველოში არასრულწლოვანთა დანაშაულის სტატისტიკა ამ პრობლემის სიმწვავეზე მიანიშნებს, რაც თავის მხრივ, "უსაფრთხო სკოლის" კონცეფციის აქტუალობას ცხადყოფს. ამ მიმართულებით განათლების სამინისტრო აქტიურად მუშაობს და საზოგადოებას "უსაფრთხო სკოლის" პოლიტიკას სთავაზობს. მიდგომა კი ასეთია: პრევენცია ჩარევის ნაცვლად, დახმარება დასჯის ნაცვლად და კონსულტაციები.

ვინაიდან უსაფრთხოება არის ბავშვის სწავლის, აღზრდისა და განვითარების წინაპირობა, უპირველესი ამოცანა სკოლაში უსაფრთხო გარემოს შექმნა, დისციპლინის განმტკიცება, შესაძლო კონფლიქტების პრევენცია, ძალადობისა და განდაღიზიანების ფაქტების აღმოფხვრა. უსაფრთხო სკოლაში პრობლემის იდენტიფიცირებასა და დაძლევის საქმეში მთელი საზოგადოება ჩართულია.

უსაფრთხო სკოლის კონცეფცია ქვეყნისა და რეგიონების კულტურული სპეციფიკასაც უნდა ითვალისწინებდეს, სახელდობრ, საქართველოში მცხოვრები ეთნიკური ჯგუფების, რათა უზრუნველყოფილი იყოს მათი ჩართულობა ამ პროცესებში.

სკოლაში სათანადო გარემოს შექმნისას მნიშვნელოვანია, როგორც ფიზიკური, ასევე სოციალური ფაქტორის გათვალისწინება. ფიზიკური გარემო მოიცავს, როგორც სათანადო სასკოლო შენობას, გარემოს, იქ მყოფ ხალხს და მათი ინტერაქციის ხერხებს, მატერიალურ რესურსებს და არსებული გარემოს გაფართოებას არაფაქტურული აქტივობების (ექსკურსიების, ლაშქრობების და სხვა) სახით. ფიზიკური გარემო ისეთ კლიმატს უნდა ქმნიდეს, რომ სწავლისა და მუშაობის მოტივაციას აჩვენდეს.

სოციალური გარემო უნდა ითვალისწინებდეს უსაფრთხო, სტუმართმოყვარე, ძალადობისაგან თავისუფალ გარემოს, რომელიც ხელს უწყობს პოზიტიური ქმედებების აღიარებას, ნახალისებასა და მოდელირებას. დისციპლინარული სტრატეგია არის სამართლიანი და არაძალადობრივი და ფოკუსირებულია სათანადო ქცევის სწავლებაზე. პასუხისმგებლობის გრძნობა, უფლებამოსილება და საკუთრების უფლება ნახალისებულია სასკოლო საზოგადოების ყოველი წევრის მიერ; ამ პროცესში უზრუნველყოფილია მშობლებისა და საზოგადოების ჩართულობაც.

ამ კომპონენტების ერთობლიობა ქმნის ატმოსფეროს, რომელიც ძალადობის პრევენციასა და უსაფრთხო გარემოს შექმნას უწყობს ხელს.

ძალზედ მნიშვნელოვანია ქცევის კოდების, მათ შორის დისციპლინარული ნორმების შემუშავება, რაც განსაზღვრავს მოსწავლის, მასწავლებლისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლის ქცევის წესებს, მათ შორის დისციპლინარულ სანქციებს.

სკოლებში ხდება სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, რაც ანტი-საზოგადოებრივი ქმედებების, ნარკოტიკების, იარაღის უარყოფითი გავლენის შესახებ სწავლებასაც მოიცავს. ამ პროცესში გადამწყვეტია პედაგოგის როლი, რომელიც მონარდის ემოციურ და მენტალურ განვითარებაზე უ-



28 მაისს
თავისუფლების ინსტიტუტი
აფიოზ უსაფრთხო
მუშაობას და მასწავლებლებთან
უსაფრთხის მიხედვით
განათლების სამინისტროს მიერ უზრუნველყოფილი
“უსაფრთხო სკოლის”
პროექტის განხილვა.
განხილვად წარმოდგენილი იქნება
ორი ალტერნატიური პროექტი

მონაწილეობის მსურველები დაგვიკავშირდით, ტელ: 230745
 ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა 13:00-16:00-მდე

პროექტის მხარდამხმარებელი
 თავისუფლების ინსტიტუტი

მოქმედებს და მას პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქედ აქცევს. იმ შემთხვევაშიც კი, როცა ბავშვი ოჯახსა და საზოგადოებაში ძალადობის მსხვერპლია, მასწავლებელს შეუძლია, მას არა-ძალადობრივი ცხოვრების მაგალითი მისცეს.

სასკოლო პროგრამები, სწავლების მეთოდები და გარემო ხელს უწყობს ბავშვთა უფლებების დაცვას, მრავალმხრივი განათლების მხარდაჭერას, ტოლერანტობას, თანასწორობის გრძნობას, კონფლიქტების გადაჭრასა და არა-დასკრინინაციულ, არაძალადობრივ მეთოდებს.

შეთანხმებული პოლიტიკის დანერგვას მოსდევს მონიტორინგის მექანიზმების ამოქმედება, რაც პროცესის შეფასებას და ახალი ტენდენციებისა და შედეგების იდენტიფიცირებას გულისხმობს. მონიტორინგი და სისტემის შეფასება ორ მიმართულებას მოიცავს: პირველი - კონფიდენციალური კვლევის მეშვეობით სასკოლო კლიმატის გაანალიზება და მეორე ცალკეულ ინციდენტებზე რეაგირება, მშობლების ჩართვა და დახმარების განხილვა.

თუ სხვადასხვა ქვეყნებში მოქმედ პროექტებს გავაანალიზებთ, სკოლებში უსაფრთხოების მექანიზმების დანერგვა რამდენიმე ეტაპად შეიძლება განვიხილოთ:

პირველ რიგში საჭიროა წინასწარი გაფრთხილების მექანიზმის ამოქმედება, პირადი მონაცემების შეკრებისა და დამუშავების სისტემის დანერგვა, მონაცემთა საერთო ელექტრონული ბაზის შექმნა; ერთ-ერთი ეფექტური მექანიზმი დისციპლინის კოდების შემუშავება და მისი დანერგვა, ასევე სადისციპლინო საბჭოს შექმნა. ინფრასტრუქტურის აუდიტის მექანიზმის დანერგვა კრიტიკული მნიშვნელობისა და სკოლის რესურსებით აუდიტის ორგანიზებას გუ-

ლისხმობს. ამ პროცესის აუცილებელი კომპონენტია უსაფრთხო გარემოს კვლევა, როგორც გარე რესურსების მოზიდვით, ასევე კვლევის შიდა მექანიზმების შექმნა და იმპლემენტაცია. უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანი კომპონენტია მედია კამპანია და ტრენინგ კომპონენტის ამოქმედება.

ცხადია, ეფექტური შედეგის მისაღებად მნიშვნელოვანია სკოლის გარე უსაფრთხოების მექანიზმების დანერგვა, რაც პოლიციასთან კოორდინაციის მექანიზმის ამოქმედებას და ანტი-სოციალური პროგრამის საერთო ხედვის შემუშავებას გულისხმობს. საზოგადოების ჩართულობა ამ პროცესში მრავალმხრივი შეიძლება იყოს. ძალზედ მნიშვნელოვანია მოსწავლეთათვის იმ ადამიანების მონაწილეობა, ვინც მათთვის მისაბამ, სამაგალითო პიროვნებებად ითვლება. არასამთავრობო სექტორმა კი საზოგადოებასა და სკოლას შორის მედიატორის როლი შეიძლება შეასრულოს.

“უსაფრთხო სკოლის” მიზანია უპასუხოს როგორც მოსწავლეების, ასევე საზოგადოების საჭიროებებსაც. ამისათვის კი აუცილებელია მჭიდრო თანამშრომლობა მშობლებს, პოლიციას, საზოგადოებრივ ინსტიტუტებსა და მოსწავლეთა უფლებების დამცველებს შორის.

“ფართო დისკუსია მასწავლებელთა და მშობელთა მონაწილეობით”

პროექტი, რომელსაც “თავისუფლების ინსტიტუტი” თავის ამიერკავკასიულ პარტნიორებთან ერთად ევრაზიის ფონდის ხელშეწყობით ახორციელებს მონაწილეობით დემოკ-

რატის გაძლიერებას და გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების ფართოდ ჩართვას ისახავს მიზნად. უფრო კონკრეტულად, თუ როგორ შეუწყობს ხელს სკოლებში უსაფრთხო გარემოს შექმნას საჯარო დისკუსიაში საზოგადოების ჩართულობა, “თავისუფლების ინსტიტუტის” აღმასრულებელი დირექტორი გიორგი მელაძე გვესაუბრება:

დღევანდელი სკოლის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა პასუხისმგებლობის მქონე მოქალაქეების აღზრდაა, რომელთაც სკოლა სათანადო განათლებას აძლევს. ამისათვის კი მონარდებს უსაფრთხო გარემო და განვითარებისთვის სათანადო პირობების შექმნა სჭირდებათ. ცხადია, შეცდომაა, როდესაც სკოლას საზოგადოებისგან განეკუთვნება განვითარებად და მხოლოდ პედაგოგებს ვაკისრებთ მომავალი თაობის აღზრდაზე პასუხისმგებლობას.

საკუთარი წილი პასუხისმგებლობისა საზოგადოებამ და მშობლებმაც უნდა იტვირთონ და სწორედ ამაზე ვათვლით ჩვენი პროექტი. ორივე სიტყვით რომ ვთქვათ, ეს არის ფართო დისკუსია მასწავლებელთა და მშობელთა მონაწილეობით. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, დისკუსიაში ჩართულია ასი მონაწილე, მაგრამ მიუხედავად მონაწილეთა მრავალრიცხოვნებისა, ისინი არ არიან პროცესის პასუხი დამკვირვებლები და არ გვევლინებიან მხოლოდ მსმენელების როლში. მრავალრიცხოვან მონაწილეთა მაქსიმალური ჩართულობის უზრუნველყოფა კი სპეციალურად შექმნილი კომპიუტერული პროგრამის მეშვეობითაა შესაძლებელი. დისკუსიის ფორმატი ერთდროულად ათი ფოკუს ჯგუფის მუშაობას ითვალისწინებს, კომპიუტერული პროგრამის მეშვეობით კი შესაძლებელია ფოკუს ჯგუფებს შორის მოდერაცია და იდეებისა და კომენტარების ონლაინ სინქრონული გაცვლა.

ასეთი ფორმატი დისკუსიის ჩატარება საშუალებას იძლევა მოქალაქეთა მონაწილეობით განისაზღვროს საზოგადოების საჭიროებები და პედაგოგთა და მშობელთა თანამშრომლობით დაიდოს სერიოზული დოკუმენტი, რომელსაც რეკომენდაციების სახით განათლების სამინისტროს წარუდგენენ.

- რა სახით მონაწილეობს აზერბაიჯანი და სომხეთი აღნიშნულ პროექტში და ჩატარდა თუ არა მსგავსი ფორმატის დისკუსიები მეზობელ ქვეყნებში?

- პროექტი ნოვაცია საქართველოში და მისი განხორციელება ჩვენი სომხეთი პარტნიორების დახმარებით გახდა შესაძლებელი. სომხეთში მსგავსი მეთოდი უკვე რამდენჯერმე გამოიყენეს. თუმცა პროგრამის ის ვერსია, რომელსაც ჩვენ გამოვიყენებთ სპეციალურად ამ პროექტისთვის იქნა მოდიფიცირებული და ამით ის უნიკალურია. რაც შეეხება აზერბაიჯანს, იქ ამგვარ პრაქტიკას ჯერ არ იცნობენ და საქართველოში მისი გამოცდით ჩვენს აზერბაიჯანულ პარტნიორებს საშუალება ეძლევათ დააკვირდნენ პროცესის მიმდინარეობას და შემდგომ აზერბაიჯანშიც საფუძველი ჩაუყარონ საზოგადოებრივი დისკუსიების ამგვარ პრაქტიკას. ამგვარი თანამშრომლობა იძლევა საშუალებას, ამ პროექტმა კიდევ უფრო მასშტაბური სახე შეიძინოს.

რა უპირატესობა აქვს ამ პროექტს და აპირებთ თუ არა მსგავსი ფორმატის სხვა სფეროებში დანერგვას?

ამ პროექტის უპირატესობას განსაზღვრავს კომპიუტერული პროგრამა, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებშია შექმნილი და ეს, პირველ რიგში, საზოგადოების მაქსიმალურ ჩართულობასა და წარმომადგენლობითობაში გამოიხატება. სწორედ ამიტომ ვფიქრობთ, რომ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების ფართოდ წარმოდგენისათვის ეფექტური იქნება ამ ფორმატის არა მარტო განათლების სისტემაში, არამედ სხვა სფეროებში დანერგვა. ბუნებრივია, “თავისუფლების ინსტიტუტი” ამ ნოვატორული ფორმატის აპრობაციას სხვა მიმართულებით შეეცდება და შესაძლოა, არა მხოლოდ ამბოხის, ერთდროულად რამდენიმე რეგიონიც კი მოვიცვათ, რაც კომპიუტერული პროგრამის წყალობით იოლად მისაღწევია.

მომზადებულია თავისუფლების ინსტიტუტის მიერ